საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 28-30 მაისი. 2021 წ. №115-116 (9234-9235) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ჯოზეფ ბაიდენი: გახსოვდეთ, რომ შეერთებული შტატები თქვენ გვერდით დგას

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **ჯოზეფ ბაიდენი** საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილს** საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს.



„ბატონო პრემიერ-მინისტრო! ამერიკელი ხალხის სახელით მსურს, ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მივულოცო და 26 მაისს ბედნიერება და ჯანმრთელობა ვუსურვო.

ერთგული პარტნიორის რანგში შეერთებული შტატები გააგრძელებს ქართველი ხალხის მხარდაჭერას მეტად დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების გზაზე, რაც დამოუკიდებელი სასამართლოს და ინკლუზიური დემოკრატიული პროცესების გაძლიერებასაც გულისხმობს. ქართველი ხალხის გვერდით ვიქნებით ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური გავლენებისგან თავის დაღწევის მიმართულებით თქვენი ძალისხმევის გატარებისას.

ქართველი ერის დამოუკიდებლობის აღნიშვნა არ არის მხოლოდ საზეიმო თარიღი. ის იძლევა ისტორიის და ფასეულობების პატივისცემის შესაძლებლობას, რაც ერის ხასიათშია ჩაქსოვილი. ეს თარიღი იძლევა მომავალისკენ ხედვის შესაძლებლობასაც. როდესაც საქართველოს ლიდერები და მოქალაქეები ქვეყნის დამოუკიდებლობის გაძლიერებისა და ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების გზაზე დაწინაურებაზე ფიქრობთ, გახსოვდეთ, რომ შეერთებული შტატები თქვენ გვერდით დგას. შეერთებულ შტატებში მამაცი ქართველი ჯარისკაცების მადლიერნი ვართ, რადგან ისინი ავღანეთის ტერიტორიაზე ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის პროგრამებში ჩვენი მეომრების გვერდით მსახურობენ და ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს მხარდაჭერას ალიანსში გაწევრების პერიოდში.

ასევე ვაღიარებთ გარედან მომდინარე იმ გამოწვევების მნიშვნელობას, რაც საქართველოს აქვს. ქვეყანა განაგრძობს მათთან გამკლავებას. დღეს ჩემი ფიქრები მიმართულია ყველა იმ ადამიანისკენ, რომლებიც რუსეთის ოკუპაციის პირობებში ცხოვრობენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. შეერთებული შტატები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მტკიცედ ერთგული რჩება საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მიიღეთ ჩემგან საუკეთესო სურვილები პირადად თქვენ და ქართველმა ხალხმა“, — ნათქვამია **ჯოზეფ ბაიდენის** მისალოც წერილში.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური

ამერიკის მხარდაჭერა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია!

გამოცემა Newsweek-ში აშშ-ში საქართველოს ელჩის დავით ბაქრაძის საავტორო სტატია გამოქვეყნდა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლისთავს ეძღვნება.

დავით ბარქაძე სტატიაში ყურადღებას ამახვილებს აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების მოსალოდნელ შეხვედრაზე, რომელიც მომდევნო თვეში ნატოს სამიტის ფარგლებში უნდა გაიმართოს.

როგორც საქართველოს ელჩი მიიჩნევს, შეხვედრისას აშშ-ის პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიის საკითხი უნდა წამოწიონ, ასევე გაუგზავნონ მკაფიო გზავნილი რუსეთს, რომ აშშ საქართველოს სრულფასოვანი მოკავშირეა და შავი ზღვის რეგიონის მომავალში ინვესტიცია განახორციელა.

„საქართველო განაგრძობს რუსეთის მიერ დომინირებისა და დაშინების ყოველდღიური ძალისხმევისთვის წინააღმდეგობის გაწევას, თუმცა ჩვენ ვერ დაგვაშინებენ. 2008 წლიდან რუსეთს უკანონოდ აქვს ოკუპირებული ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი, რაც ხაზს უსვამს რუსეთის დაუოკებელ აგრესიულ ქცევას თავისი მეზობლების მიმართ. რუსეთი და მისი მარიონეტული „მთავრობები“ ქმნიან არეულობას საოკუპაციო ხაზთან, ზიანს აყენებენ, უგულვებელყოფენ საქართველოს მოქალაქეების უფლებებს მცოცავი ოკუპაციით, უარს ამბობენ, დაექვემდებარონ საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნებს, გავიდნენ და დააბრუნონ უკანონოდ მიტაცებული ტერიტორია. ამერიკის მხარდაჭერა საქართველოს გამთლიანებისთვის უმნიშვნელოვანესია“, — წერს **დავით ბაქრაძე** სტატიაში.

მისივე თქმით, **რუსეთის ქმედებები მხოლოდ ოკუპაციით არ შემოიფარგლება, კიბერთავდასხმები და ეკონომიკური მანიპულაციები რუსეთის ხრიკების ნაწილია. როგორც სტატიაშია აღნიშნული, რუსეთის შეიარაღებული ძალების რიცხვი არა მხოლოდ უკრაინასა და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, არამედ საქართველოს სამხრეთით, მთიანი ყარაბაღის რეგიონშიც იზრდება.**

მისივე განცხადებით, **დღეს საქართველოს ამერიკა და მოკავშირეები მხარდაჭერისთვის უფრო მეტად სჭირდება, ორმხრივად სასარგებლო სავაჭრო შეთანხმებით, შავი ზღვის უსაფრთხოების სფეროში მზარდი თანამშრომლობით, პოსტ-პანდემიურ ეკონომიკურ ვარდნასთან გამკლავებისთვის, საქართველოს ნატოში გაწევრების მხარდასაჭერად და საქართველოს ევროკავშირში გაწევრებისთვის მოსამზადებლად.**

ირაკლი ღარიბაშვილი: ამ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების როლი გადამწყვეტია!

საქართველოს დემოკრატიული განვითარების, ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების როლი გადამწყვეტია; ჩვენში არსებობს სრული კონსენსუსი ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალთან დაკავშირებით და სწორედ ეს განაპირობებს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის მჭიდრო თანამშრომლობას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივ კონფერენციაზე — **„ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი“** მიმართვისას განაცხადა, რომელიც 27-28 მაისს ვიდეოკონფერენციის ფორმატში იმართება.

მთავრობის მეთაურმა **„აღმოსავლეთ პარტნიორობის“** სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმას ფორუმის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა არსებითია იმ რეფორმების განსახორციელებლად, რომელთა მეშვეობით საქართველო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეგიონში ლიდერი ქვეყნის პოზიციებს ინარჩუნებს.

„დღეს ვფიქრობთ, რომ დადგა დრო, წინ წავიწიოთ, კიდევ უფრო ქმედითი, ენერგიული ნაბიჯები გადავდგათ ევროკავშირში ინტეგრაციისკენ. თქვენ იცით, რომ 2024 წელს ევროკავშირის სრულფასოვან წევრობაზე განაცხადის გაკეთებას ვგეგმავთ. უახლოეს წლებში ჩვენ ვეცდებით, ყველა დავარწმუნოთ, რომ საქართველოს არა მხოლოდ ამბიცია და სურვილი გააჩნია, არამედ იმსახურებს ევროკავშირის სრულფასოვან წევრობას. ამ საქმეში ჩვენ კვლავ სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერისა და უშუალო მონაწილეობის იმედი გვაქვს. მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგსა და თანამშრომლობას სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კონკრეტული რეკომენდაციების წარმოდგენას და განხილვას, ეფექტური ფორმატები და ინსტრუმენტები სჭირდება. კონფერენცია, რომელშიც დღეს ვმონაწილეობთ, სწორედ ასეთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად წარმოგვიდგება. მიხარია, რომ არც ისე დიდი ისტორიის მიუხედავად, იგი უკვე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ტრადიციად იქცა. კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი სამოქალაქო საზოგადოების ეროვნულ პლატფორმას ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის; პირადად ჩემი და ჩვენი მთავრობის სახელით ვადასტურებ სრულ მზაობას, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი პარტნიორობა და თანამშრომლობა“, — განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა**.

როგორც პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციაშია ნათქვამი, ღონისძიების მიზანია მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგის ხელშეწყობა. წლევანდელი კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილია დისკუსიები საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ფარგლებში არსებულ აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის თემაზე, ასოცირების შეთანხმების განხორციელების შეფასებაზე. ფორუმის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი იქნება 2024 წელს საქართველოს ევროკავშირში წევრობასთან დაკავშირებით განაცხადის გაკეთების პერსპექტივები. კონფერენციაში სამოქალაქო საზოგადოების, საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, ევროკომისიის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ირაკლი ღარიბაშვილი: თავისუფლების იდეა ყოველთვის იყო ის მთავარი საყრდენი, რომელმაც შესაძლებელი გახადა საქართველოს დამოუკიდებლობა

26 მაისი ჩვენი ეროვნული იდენტობის, მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და თავისუფლებისკენ სწრაფვის გამოხატულებაა.

თავისუფლების იდეა ყოველთვის იყო ის მთავარი საყრდენი, რომელიც აერთიანებდა ყველა პატრიოტს და რომელმაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა შესაძლებელი გახადა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალზე განაცხადა.

„გილოცავთ ჩვენი ქვეყნის უმთავრეს დღესასწაულს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, დღევანდელი დღე საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის გამარჯვების, თავისუფლებისა და პატრიოტიზმის დღეა. 26 მაისი ჩვენი ეროვნული იდენტობის, მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და თავისუფლებისკენ სწრაფვის გამოხატულებაა. თავისუფლების იდეა ყოველთვის იყო ის მთავარი საყრდენი, რომელიც აერთიანებდა ყველა პატრიოტს და რომელმაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა შესაძლებელი გახადა. მინდა დღევანდელი დღე ჩვენს თითოეულ მოქალაქეს მივულოცო, რომელიც საკუთარი შრომითა და თავდადებით აძლიერებს ჩვენს ქვეყანას. ვულოცავ ჩვენს ეკლესიას, რომლის ღვაწლი ჩვენი იდენტობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში განსაკუთრებულია. ქართველ ერს უფლის რწმენა და იმედი ყოველთვის აძლიერებდა თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენი სამხედროებისთვის. სწორედ მათი თავდადება, პროფესიონალიზმი და ერთგულება იყო, არის და იქნება ჩვენი სახელმწიფოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარანტი. ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ, ისინი ყოველთვის ღირსეულად ატარებენ ქართველი მეომრის მუნდირს.

დღევანდელი დღე განსაკუთრებულია იმ წვევამდელებისთვის, რომლებმაც ფიცი დადეს და სამშობლოს ჯარისკაცები გახდნენ.

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა მრავალი თაობის ბრძოლისა და თავდადების შედეგია. მინდა დღევანდელი დღე მივულოცო ჩვენს გმირ ვეტერანებს, ჩვენი ქვეყნის ერთგულ ჯარისკაცებს, განსაკუთრებული პატივი მივაგო ყველა იმ გმირს, ვინც თავი გაწირა სამშობლოს თავისუფლებისთვის“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ელისაბედ მეორემ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა!

ელისაბედ მეორე საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს. დიდი ბრიტანეთის დედოფლის მისალოც წერილს, რომლის ადრესატიც პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილია, საქართველოში ბრიტანეთის საელჩო აქვეყნებს.

„თქვენს აღმატებულებას და საქართველოს მოსახლეობას საუკეთესო სურვილებით ვულოცავ ეროვნულ დღესასწაულს. რთული წლის შემდეგ, ვიმედოვნებ, რომ გადავლახავთ მსოფლიო ჯანმრთელობის გამოწვევებს და მომავალში უკეთესი დრო გველოდება“...

ღმერთმა დალოცოს გენერალ გიორგი კვინიტაძე-ჩიქოვანის სული!

გენერალ გიორგი კვინიტაძე-ჩიქოვანის ცხედართან მდგომთ იპყრობს მწუხარებაც და სიხარულიც. მწუხარება იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ გვახსენდება წითელ არმიასთან ჩვენი მებრძოლების უთანასწორო დაპირისპირება და წაგებული ომი, რომელმაც მთლიანად შეცვალა ჩვენი ქვეყნის ბედი. სიხარული იმიტომ, რომ სამშობლო არ ივიწყებს და სიყვარულით იბრუნებს თავის ერთგულ შვილებს, — ამის შესახებ პატრიარქის მიმართვაშია ნათქვამი, რომელიც სამების საკათედრო ტაძარში დასვენებული გენერალ გიორგი კვინიტაძის ცხედართან, საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრემ, მეუფე შიომ წაიკითხა.

„ხუთი დღის განმავლობაში, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის უკანასკნელი მთავარსარდლის ნეშტი წმინდა სამების საკათედრო ტაძარში დაასვენეს, აქ არ შეწყვეტილა მსახურება მისი სულის საოხად. მოძღვრები და მრევლი სხვადასხვა ეკლესიისა, იხდიდნენ პანაშვიდებს, იკითხებოდა ფსალმუნები, აღევლინებოდა გალობა... გენერალ გიორგი კვინიტაძეს პატივი მიაგეს ჯარისკაცებმა, და რა თქმა უნდა, ჩვენმა საზოგადოებამაც.

უცხოეთში გადახვეწილი, გაჭირვებაში მცხოვრები, გულგატეხილი მხედართმთავარი, სიმბოლო ვაჟკაცობისა, გონიერებისა და თავდადებული მოღვაწეობისა, სიცოცხლეში ალბათ ვერც იოცნებებდა ასეთ დაბრუნებაზე; ვერ იოცნებებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დამაშვრალი, სწორედ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს პატივით მიებარებოდა სამშობლოს მიწას.

მისი ბიოგრაფია კიდევ ერთხელ გვახსენებს ყველას, რომ არ შეიძლება პირადულ და ვიწრო პარტიულ ინტერესებს ქვეყანა და საქვეყნო საქმეები შეეწიროს, რომ უმთავრესია სწორი ორიენტირების შენარჩუნება და ჩვენი ცხოვრებით ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანის მსახურება, რა საქმიანობასაც არ უნდა ვეწეოდეთ და სადაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ.

ღმერთმა დალოცოს და სავანესა მართალთასა დააწესოს ბატონ გიორგი კვინიტაძე-ჩიქოვანის უკვდავი სული. ღმერთმა დალოცოს მისი

შთამომავლები და ახლობლები. მადლობა საფრანგეთს ქართველ ემიგრანტთა მიღებისა და პატრონობისთვის. მადლობა საქართველოს პრეზიდენტს დიდი გენერლის სამშობლოში დაბრუნების ინიციატივისათვის. ღმერთი სიყვარულისა და მშვიდობისა იყოს თქვენთა ყოველთა თანა, ამინ!“, — ნათქვამია პატრიარქ ილია მეორის მიმართვაში.

სან-ფრანცისკოს მერიის შენობაზე ქართული დროშა აღიმართა!

საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის 103-ე და დამოუკიდებლობის აღდგენის 30-ე წლისთავს აღნიშნავს. თითოეული ქართველისთვის ამ უაღრესად მნიშვნელოვან დღეს, სან-ფრანცისკოს მერიის შენობაზე, ქართული დროშა აღიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალური საკონსულო ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, დროშის აღმართვის ცერემონიას ქალაქის მერიამ უმასპინძლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს გენერალურმა კონსულმა ლევან ბერიძემ, კონსულმა დავით კურტანიძემ, ქართული მემკვიდრეობის ფონდისა და სკოლის დამფუძნებელმა ლიანა ნიცეცკაიამ, ინვესტორმა და „საქართველოს ტექმეგობრების“ დამფუძნებელმა ისაკ აპელბაუმმა და NBA-ის ორგზის ჩემპიონმა, ბიზნესმენმა და ინვესტორმა, ზაზა ფაჩულიამ.

ლანა ღოღობერიძე: პირველი პრეზიდენტის ტრაგიკული დასასრული არის ის, რასაც ძალიან ძნელად მოინელებს ერის მეხსიერება!

კინორეჟისორი, საქართველოს პირველი ელჩი ევროსაბჭოში ლანა ღოღობერიძე, „ღამის კურიერის“ ეთერში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, იმ დროინდელ პოლიტიკურ პროცესსა და სამოქალაქო დაპირისპირების წინა პერიოდს იხსენებს.

ლანა ღოღობერიძემ საქართველოს პირველ პრეზიდენტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული დასასრული არის ის, რასაც ძალიან რთულად მოინელებს ერის მეხსიერება.

„ყველაფერი სწორი იყო, ჩვენი მხრიდან. ისიც, რომ რაღაცეებმა დაგვაეჭვა, ისიც, რომ მოგვინდა პროტესტის განცხადება, ისიც, რომ კრიტიკულნი ვიყავით, ახალი ხელისუფლების მიმართ, იმ მომენტამდე, სანამ სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო. როცა უკვე შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო, იქ ეს ყველაფერი გათავდა. ის იყო მართლა ტრაგიკული მომენტი და ნამდვილი სანანებელი ყველა იმისთვის, ვინც რაიმენაირად მონაწილეობდა. მე არც მაშინ ვიყავი ამის მომხრე, არც ერთი წუთით, მაგრამ თავისთავად ასე მოხდა — იმ მდინარეში ჩავერთე და ის ტრაგიკული დასასრული, და მერე პირველი პრეზიდენტის ასეთი ტრაგიკული დასასრული. ეს არ ვიცი, ეს არის ის, რასაც ძალიან ძნელად მოინელებს ერის მეხსიერება. მე მართლა მთელი გულით განვიცდი, რომ მას ასეთი დასასრული ჰქონდა. და საერთოდ, განვიცდი იმას, რომ ის ადამიანი, რომელიც მოვიდა იმ ორეულით, რომ იყო დისიდენტი, ებრძოდა იმ ტოტალიტარიზმს. მართლა ებრძოდა, მთელი სიცოცხლე ამას შესწირა. მერე მართლა მის გარშემო გაერთიანდა მთელი ერი. მერე მოხდა ის, რომ ისევ დაბრუნდა ის — უმცირესობების მიმართ არასწორი დამოკიდებულება, ჩემი აზრით, პიროვნების მიმართ არასწორი დამოკიდებულება, ხელოვნების მიმართ არასწორი დამოკიდებულება და მოხდა ისევ განხეთქილება, რომელიც დემოკრატიულად უნდა დასრულებულიყო. აი, რა იქნებოდა სწორი. შემდეგი არჩევნებით მომხდარიყო ან შეცვლა, ან დარჩენა ამ ხელისუფლების და არა, ის სამოქალაქო დაპირისპირება, რომელმაც მერე ის შეურიგებლობა შვა, რომელსაც ახლაც ვიმკით“, — თქვა ლანა ღოღობერიძემ.

კახა კუჭავა არასაპარლამენტო ოპოზიციას შეხვდა

პარლამენტის თავმჯდომარემ, კახა კუჭავამ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა, რომელზეც მხარეებმა საარჩევნო რეფორმა განიხილეს.

„დღეს ქართული პოლიტიკა არის ორპარტიული და ამაზე ყველა საუბრობს. ორი დიდი ცენტრის არსებობა არც ქვეყანას წაადგება და არც სტაბილურობას. ამიტომაც, ჩვენ ვითხოვთ, რომ მცირე პარტიებს, რომლებსაც არ ჰყავთ მრავალმილიონიანი სპონსორები, მიეცეთ დაბლოკვის საშუალება. ბუნებრივია, რომ ის (კუჭავა) ერთპიროვნულად დღეს პასუხს არ მოგვცემდა და ამასთან დაკავშირებით უმრავლესობაში კონსულტაციები უნდა გაიაროს, მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთი სურვილი არსებობს“, — აღნიშნა „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ.

ბაია კვიციანი და გელა სამხარაული პარლამენტში

საკანონმდებლო ორგანომ უმრავლესობის ორი წევრის სადეპუტატო უფლებამოსილება ცნო.

გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მოხდა ბაია კვიციანისა და გელა სამხარაულის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობა. აღნიშნულმა დეპუტატებმა საკანონმდებლო ორგანოში ირაკლი სესიაშვილი და მარიამ ქვრივიშვილი ჩაანაცვლეს.

სანდრო რაქვიაშვილი გირჩელებს შეემატა

პარლამენტმა „გირჩის“ წევრის, სანდრო რაქვიაშვილის სადეპუტატო უფლებამოსილება ცნო.

სანდრო რაქვიაშვილი პარლამენტში ჩაანაცვლებს სალომე მუჯირს, რომელსაც სადეპუტატო უფლებამოსილება ორი დღის წინ შეუწყდა.

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ - ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ!

ᲛᲘᲕᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲯᲐᲠᲡ!

ᲛᲝ�გᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲕ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲝ, ᲐᲭᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲝ!

ᲛᲘᲕᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘ ᲡᲐ�პᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡ ᲢᲐᲡᲢᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲧᲓᲠᲔᲡ!

ᲛᲘᲕᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ.

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ, ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲝ�გᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘ! 26 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲥ, ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲧᲝᲤᲜᲐ, ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲡ ᲛᲝ�გᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ.

2021 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲕᲖᲔᲘᲛᲝᲑᲗ 30 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ, 70-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲢᲝᲢᲐᲚᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ 100 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲔ-11 ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲙᲣ�პᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ, ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ �გᲐᲮᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐᲔᲢᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐ. ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲗ, ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲨᲘ!

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲓᲦᲔᲐ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ 100 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ, ᲙᲐᲓᲔᲢᲘᲡᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ, ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲞᲐᲜᲗᲔᲝᲜᲨᲘ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲓᲦᲔ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲣᲦᲐᲚᲐᲕ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲒᲛᲘᲠᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲐᲪ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲔᲦᲘᲠᲘᲡᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲛᲙᲕᲘᲓᲠᲐ.

ᲛᲘᲜᲓᲐ ᲔᲡ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲔᲡᲝᲓᲔᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲝᲗ ᲗᲫᲕᲔᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲝ! ᲗᲫᲕᲔᲜ, ᲕᲘᲜᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲤᲘᲪᲡ ᲓᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲓᲠᲔᲙᲚᲐᲓ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ! ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲬᲘᲜ ᲒᲘᲫᲦᲚᲝᲓᲔᲗ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲙᲕᲘᲜᲘᲢᲐᲫᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ! ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲙᲕᲘᲜᲘᲢᲐᲫᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲘᲡ ᲫᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ.

სწორედ ასეთი თვისებები გამოავლინეს ჩვენმა ჯარისკაცებმა დამოუკიდებლობის მძიმე 30 წლის განმავლობაში, ყველა ბრძოლაში, ომში თუ სამშვიდობო მისიაში. ისინი გენერალ კვინიტაძის ღირსეული მემკვიდრეები აღმოჩნდნენ. ძალიან ხშირად, უსამართლო და უთანასწორო ბრძოლებში ჩვენმა ჯარისკაცებმა თავი გამოიჩინეს და ყველგან ასახელეს ქვეყანა. საერთაშორისო მისია ავღანეთში მალე დასრულდება. მინდა, სახელმწიფოს სახელით, ყველა იქ მებრძოლს ღირსეული მსახურებისთვის მადლობა გამოვუცხადო და პატივი მივაგო ჩვენს ვაჟკაცებს!

26 მაისია და გენერალი გიორგი კვინიტაძე თავის საოცნებო ქვეყანაში ბრუნდება, რომელმაც ზუსტად ოცდაათი წელია, რაც დამოუკიდებლობა დაიბრუნა. იგი ბრუნდება თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ, თავისი კულტურითა და იდენტობით ამაყ, ევროპასთან დაახლოებულ და მის ფასეულობებთან შერწყმულ საქართველოში. ეს თავისთავად გამარჯვებაა 70-წლიან ოკუპაციასა და საბჭოთა დაპყრობის ტრაგედიაზე.

გამარჯვებაა, რომ ამ ქვეყანამ ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველა უმძიმეს გამოწვევას გაუძლო — ომებს, მისი ტერიტორიის ნაწილის

ოკუპაციას, პროვოკაციებს. ქვეყანამ შეძლო, საკუთარ არჩეულ გზაზე ისე ევლო, რომ არ შეპუებოდა დაბრკოლებას, მუქარასა თუ თავდასხმას.

ამ ურთულეს რეგიონში საქართველო მტკიცედ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას, სახელმწიფოებრიობას და სუვერენობას.

დღეს დადგა დრო, რომ ნათლად გავიაზროთ, რა გამოწვევების წინაშეა ქვეყანა და რას გვუბნება გენერალ კვინიტაძის მაგალითი. მის მემუარებში ახსნილია, დიდწილად რამ განაპირობა 1921 წლის ომის ტრაგიკული შედეგი: მოუმზადებლობა, დეზორგანიზაცია, არათანმიმდევრულობა, გეგმების არარსებობა, პროფესიონალიზმის ნაკლებობა და ამ ყველაფრის უკან კი — გულგრილობა, პარტიული მიზნებისა და ამბიციების წინ დაყენება.

ეს არის ის გაკვეთილი, რომელსაც არა მხოლოდ უნდა მოვუსმინოთ, არამედ გავითავისოთ და დღევანდელ ჭრილში გავიაზროთ.

მაშინ ხელისუფლება აცხადებდა, რომ დამოუკიდებლობას ამყარებდა, მაგრამ ეს მიზანი არ ეყრდნობოდა სამოქმედო გეგმას — სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას, ჯარის აღმშენებლობას, რომლისკენაც იქნებოდა მიმართული ყველა ძალა და რესურსი.

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲛ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲐᲜ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲡ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲚᲔᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲐᲓᲐᲠᲔᲑᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲗᲣ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲐ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲔᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲗᲐ-ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲝᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲒᲣᲠᲘ ᲓᲐᲓᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲗᲕᲘᲗᲠᲔᲒᲣᲚᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲗ, ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲣᲨᲕᲐᲗ.

ᲕᲐᲠ ᲛᲘᲖᲐᲜᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲮᲚᲓᲔᲡ: ᲡᲬᲝᲠᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ, ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲮᲔᲓᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲝ ᲒᲔ�გᲛᲐ.

ᲔᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝ�პᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲢᲔ�გᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲝ �პᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘᲐ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲐᲛ ᲒᲖᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲔᲢᲐ�პᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ �გᲐᲕᲘᲐᲠᲔᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔ�გᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲘᲦ�წᲔᲕᲐᲡ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ 2024 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲛᲘᲛᲓᲔᲕᲠᲣᲚᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

მით უმეტეს მაშინ, როცა რეგიონისა და საქართველოს სტაბილურობის მიმართ ევროკავშირის ინტერესი და ჩართულობა მკაფიოდაა გაზრდილი. ჩნდება ახალი შესაძლებლობები, რომლებიც ჩვენგან მეტ მომზადებას, ორგანიზებულობას, თანმიმდევრულობას, პროფესიონალიზმსა და ქვეყნის მიზნების ყველაფერზე მაღლა დაყენებას მოითხოვს.

საკუთარი მიდგომა და გეგმა ასევე სჭირდება ნატოში ინტეგრაციის გზას. საქართველომ ნატოს მხარდაჭერით თავდაცვის ძალების რეფორმირებისა და სტანდარტიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპები წარმატებით გაიარა. ვიმედოვნებთ, რომ ნატოს 14 ივნისის სამიტი საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის გზაზე ახალი ნაბიჯის გადადგმის პერსპექტივას გაგვიხსნის. ჩვენ, ყველა ჩვენი პარტნიორის იმედი გვაქვს, თუმცა, თუ გვინდა, მიზანს სწრაფად მივაღწიოთ, არა მხოლოდ მათზე, არამედ, ჩვენზეც ბევრია დამოკიდებული. სიტყვებისა და ლოზუნგების გარდა, აუცილებელია, ერთი მხრივ, ჩვენი ძალისხმევა, მივმართოთ ერთიანობისკენ და, მეორე მხრივ, სტაბილურობისა და დემოკრატიულობის გამყარებისკენ.

ამ გზაზე ჩვენი პარტნიორებისა და მეგობრების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია. ნიშანდობლივია, რომ დღეს ჩვენს ღონისძიებას ესწრებიან მეგობარი სახელმწიფოების წარმომადგენლები: პოლონეთის პრეზიდენტი, უკრაინის თავდაცვის მინისტრი და რუმინეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე. ეს ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, ევროპული სოლიდარობის და მხარდაჭერის პირდაპირი დასტურია.

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲔ�გᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲝᲙᲣ�პᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲖᲔ ᲕᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲗ. ᲫᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲔᲜᲡᲣᲡᲘᲐ, ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲕᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲫᲛᲔ ᲝᲙᲣ�პᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲘᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ, ᲒᲕᲐᲙᲚᲘᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲕᲐ. ᲘᲒᲘ ᲗᲐᲝᲑᲐᲗᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲕᲐᲐ, ᲛᲐᲡ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲒᲣᲠᲘ ᲓᲐᲓᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲐᲜ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲡ ᲛᲘᲣᲠᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲒᲝᲠᲔᲕᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘᲐ.

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲔ�გᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲝᲙᲣ�პᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲖᲔ ᲕᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲗ. ᲫᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲔᲜᲡᲣᲡᲘᲐ, ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲕᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲐᲰᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲐᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ.

იმავე პრინციპებსა და მოთხოვნებს ექვემდებარება ქვეყნის შიდაპოლიტიკური ვითარება. ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად — პანდემიის, პოლიტიკური დაპირისპირების, საზოგადოების პოლარიზაციისა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის, თუ საზოგადოებისთვის მწვავედ აღქმული ისეთი თემები, როგორიცაა „ნამახვანჰესის“ საკითხი, გვჭირდება საკუთარი ხედვა, კონკრეტული გეგმა და, რაც მთავარია, ერთობა.

შეგვიძლია, ყველამ ერთად ვიამაყოთ იმით, რომ ქვეყანამ დაპირისპირების მორევიდან გამოსასვლელად რამდენიმე სწორი ნაბიჯი გადადგა:

პარლამენტში აღდგა მრავალპარტიულობა და პარლამენტმა შეძლო საარჩევნო კანონპროექტზე შეთანხმების მიღწევა.

ამ პირველ ეტაპს ევროკავშირის და აშშ-ს ჩართულობით მივაღწიეთ, რომელიც იმ დროისთვის აუცილებელი იყო, მაგრამ ახლა, შემდეგ ეტაპზე უნდა გადავიდეთ — თვითმმართველობის არჩევნებზე და ჩვენი ქვეყანა დემოკრატიულობისა და სახელმწიფოებრიობის ახალ საფეხურზე ავიყვანოთ. ანუ ჩვენზეა და მხოლოდ ჩვენზე დამოკიდებული რეფორმების ბოლომდე მიყვანა და ის, რომ ჩვენი სახელმწიფო სამაგალითო გავხადოთ. ნამდვილი დამოუკიდებლობა კი სწორედ ასე მყარდება! დღევანდელ დღეს ასეთია დამოუკიდებლობა, და რაც მეტი დამოუკიდებლობაა მით მეტია პასუხისმგებლობა. ეს ყველას გვეხება, პირველ რიგში, ხელისუფლებასა და პოლიტიკურ სპექტრს. მათ დისკუსიისა და პოლიტიკური დაპირისპირების გარდა, დიალოგისა და თანამშრომლობის რესურსის გამონახვაც ევალებათ. ასევე დიდია საზოგადოების პასუხისმგებლობა, რომელიც ამომრჩევლების აქტიურობით გამოიხატება — აქტიურობა, რომელიც შემდეგ პარტიებს გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს. ამ ვითარებაში არანაკლებია მედიის პასუხისმგებლობა. პირველ რიგში, აუცილებელია საზოგადოებას მისცეს დამშვიდების საშუალება, უნდა შემცირდეს ყალბი ინფორმაცია და ამ კუთხით



„ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ. ᲔᲡ ᲓᲦᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ, ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ. ᲘᲒᲘ ᲗᲐᲝᲑᲐᲗᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲕᲐᲐ, ᲛᲐᲡ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲒᲣᲠᲘ ᲓᲐᲓᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ!

26 ᲛᲐᲘᲡᲘ, 2021 Წ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

ᲩᲕᲔᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲗᲕᲘᲗᲠᲔᲒᲣᲚᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲗ, ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲣᲨᲕᲐᲗ.

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲭᲠᲘᲚᲨᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲝᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ, ᲗᲣᲜᲓ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲓᲒᲛᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ!

ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ, ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲡᲔᲘᲡᲛᲣᲠᲐᲓ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ... ᲠᲘᲝᲜᲖᲔ 8 ᲙᲐᲨᲮᲐᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ...

„რიონის მცველებმა“ ნამახვანჰესის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა შეცვალეს და გადაწყვიტეს, რომ უკან ხეობაში დაბრუნდნენ და კომპანია „ენკას“ ჰესის მოსამზადებელი მშენებლობის უფლება არ მისცენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დედაქალაქის პიკეტირებით და 26 მაისის ღონისძიების ხელისშეშლით იმუქრებოდნენ, აქციის ორგანიზატორმა ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲒᲝᲚᲔᲗᲘᲐᲜᲛᲐ განაცხადა, რომ მათ ეს გადაწყვეტილება შეცვალეს. გოლეთიანი ამბობს, რომ თბილისში აქციის გამართვის მიზანი არა ვინმეს შეწუხება და გაღიზიანება იყო, არამედ საზოგადოების გამოფხიზლება, რომ ჰესთან დაკავშირებულ კონტრაქტში კიდევ ერთხელ ჩაიხედონ და ნახონ, რომ ქვეყნის ინტერესები ზიანდება.

ამის პარალელურად, მედიაში 22 კრიტიკული შენიშვნა ჩნდება ნამახვანჰესის შესახებ, რომელიც კონტრაქტის ირგვლივ იუსტიციის სამინისტროს აქვს გაკეთებული. დასკვნა სააგენტო „მთის ამბებმა“ გამოაქვეყნა.

დოკუმენტში წერია, რომ ხელშეკრულებით ვალდებულებათა უმრავლესობა საქართველოს მთავრობას ეკისრება, როცა კომპანია „ენკას“ ვალდებულებები და პასუხისმგებლობა შეზღუდულია.

დოკუმენტი 2019 წლის 30 მარტით თარიღდება, ამ დროს მინისტრი **ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ** იყო.

„ხელშეკრულების პროექტის ფარგლებში ვალდებულებათა აბსოლუტური უმრავლესობა ეხება საქართველოს მთავრობას, „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“, „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, მაშინ, როცა, აღნიშნულის საპირისპიროდ, ამავე ხელშეკრულების ფარგლებში მაქსიმალურად არის დაცული შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ უფლებები და შეზღუდულია მისი პასუხისმგებლობა და ვალდებულებები...

ასევე ვრცელდება მთავრობის პასუხი ამ შენიშვნებზე, სადაც ვკითხულობთ, რომ მთავრობამ ნამახვანჰესზე იუსტიციის სამინისტროს რამდენიმე შენიშვნა გაითვალისწინა. დოკუმენტის მიხედვით, იუსტიციის სამინისტროს შენიშვნები ნამახვანჰესის მშენებლობაზე დასადებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოადგენს სტანდარტულ პროცედურას და არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ შინაარსს, გარდა იურიდიული მხარის ტექნიკური დაზუსტებისა.

ამავე ინფორმაციას „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ ეხმაურება.

„ვინაიდან ფონდი წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს და ჩართული იყო კონტრაქტის მომზადებასა და შეჯერებაში, გვსურთ განვმარტოთ შემდეგი:

ისეთი კონტრაქტის მომზადება და გაფორმება, როგორიცაა BOO (მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის) ხელშეკრულების პროექტი არაერთ ეტაპს მოიცავს. არამართებულია დღეს გავრცელებული დოკუმენტების სპეკულაციურად, სათანადო კონტექსტის გარეშე აღქმა.

იუსტიციის სამინისტრომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართვის საფუძველზე მოამზადა ხელშეკრულების იურიდიულ ასპექტთან დაკავშირებული შენიშვნები, რომელიც არ ეხებოდა პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ ნაწილს. შენიშვნებთან დაკავშირებით მომზადდა მეორე დოკუმენტი –„შეთანხმების ფურცელი“, რომელიც განიხილა მთავრობამ და რომელსაც დაეთანხმა იუსტიციის სამინისტროც. იუსტიციის სამინისტროს საბოლოო თანხმობის და ვიზირების გარეშე მთავრობა ვერ გააფორმებდა საბოლოო ხელშეკრულებას.

დღეს მედიაში გავრცელდა როგორც იუსტიციის სამინისტროს შენიშვნები, აგრეთვე მთავრობის სხდომაზე განხილული შენიშვნების ფურცელი. დაინტერესებულ საზოგადოებას უნდა ესმოდეს, რომ მსგავსი დოკუმენტები დგება ყველა იდენტური შემთხვევისაც, როდესაც ამგვარი ხელშეკრულების დადების აუცილებლობა დგება.

ნამახვანჰესის ხელშეკრულება პასუხობს ყველა აუცილებელ სტანდარტს და კანონის მოთხოვნას და ნამახვანჰესის საწინააღმდეგო კამპანიაში ჩართულ მხარეებს მოვუწოდებთ გავრცელებული დოკუმენტების გამოყენებით და სპეკულაციით ნუ გააჩენენ საზოგადოებაში მცდარ განცდებს, თითქოსდა რაიმე საიდუმლოსთან ან მხილებასთან გვაქვს საქმე.

იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტში შემავალი ყველა სავალდებულო შენიშვნა დადებული ხელშეკრულების საბოლოო ვერსიაში გათვალისწინებულ იქნა, ხოლო არასავალდებულო შენიშვნებთან დაკავშირებით სხვადასხვა დასაბუთებაზე მიღებული გადაწყვეტილება დადგა, რაც ასახულია შენიშვნების ფურცელში“, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველოს განახლებადი ენერგიების განვითარების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ** აცხადებს, რომ ნამახვანჰესის მშენებლობის გამო არანაირი რისკი და საფრთხე არ არსებობს. აბრამიშვილის თქმით, ტექნოლოგიურად არ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც რაღაც ნაგებობის ჩადგმა არ შეიძლება. ეს არის ყველაზე უფრო კარგად შესრულებული პროექტი, რომელიც კი ოდესმე საქართველოში გაკეთებულა. 900-მდე გეოლოგიური ჭაბურღილი არსეობს და ის 1986 წლიდან არის გაკეთებული. ამის შემდეგ, 2006 წელს, „იუესაიდის“ მიერ ნამახვანის პროექტის შესახებ დადებითი დასკვნა იდება. 2012 წლამდე სააკაშვილის ხელისუფლება პოლონურ კომპანიას ქირაობს და ყველა კვლევის რევიზიას ხელახლა აკეთებინებს, მათ შორის – გეოლოგია-სეისმოლოგიაზეც. დარგის სპეციალისტი ამბობს, რომ შემდეგ „ოცნების“ ხელისუფლება ხელახლა იწყებს ამ შედგების გადამოწმებას, სადაც ისევ დადებითი დასკვნები იდება. რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს მიერ გაკეთებულ შენიშვნებს, სკანდალური ამაში არაფერია, რადანაც ესაა ჩვეულებრივი პროცედურა და პირიქით, ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას კონტრაქტის ირგვლივ ყველა დეტალი შესწავლილი აქვს.

„მთავარი ინფორმაციის გამრუდება ხდება, როდესაც საუბრობენ, რომ გეოლოგიურად რაღაცა ადგილი არსებობს საქართველოში, სადაც ნაგებობის ჩადგმა არ შეიძლება. აქ საუბარი შეიძლება იყოს იმაზე, საძირკველზე რა სიღრმეში უნდა ჩავიდეთ და ასე შემდეგ. ის, რომ საერთოდ მისი აშენება არ შეიძლება სრული აბსურდია. ისლანდიაში ვულკანებზე აშენებენ. იაპონიაში ბევრად უფრო სეისმურად აქტიურ რეგიონში არა ერთი ჰესია აგებული. საერთოდ რაზე ვსაუბრობთ? კომპანიამ მსოფლიოში არსებული ყველა პროფესიონალი მოიწვია და ივნისში კიდევ ერთი დასკვნა გამოქვეყნდება. არ ვიცი, რამდენი წლის განმავლობაში ხდება ამ პროექტის შემოწმება, გადამოწმება და ყველაფერი ერთად.

რიონზე 8 კაშხალი არსებობს, რომელიც ყველაზე ძველი 1936 წელს არის აშენებული და მალე რიონჰესს 100 წელი შეუსრულდება. ყველა მიწისძვრა გადაიტანეს, მათ შორის რაჭის 7-ბალიანი მიწისძვრა. რა არის ახლა იმის მოტივაცია, რომ ამდენი მითები ჟღერდება და პასუხების მოსმენა არ უნდათ? ვეხვეწებით, რომ კონსტრუქციულ რეჟიმში ვისაუბროთ და ასე პროფესიული საკითხი და დეტალები მედიასთან არ ვარჩიოთ“, – ამბობს აბრამიშვილი.

...ᲚᲔᲕᲐᲜ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲛᲝᲓᲘ ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲘ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲝᲗᲗ. ᲑᲝᲚᲘᲨᲘ, ᲛᲐᲑᲠᲐᲛ ᲠᲐᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲝᲗ? ᲰᲔᲡᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲨᲔᲜᲓᲔᲡ თუ არა? ᲛᲔ ᲗᲣ ᲛᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ, ᲮᲐᲚᲮᲡ ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲙᲘᲗᲮᲝᲗ, ᲓᲔᲜᲘ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ? ᲭᲠᲐᲭᲘᲡ ᲨᲣᲭᲖᲔ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ? ᲐᲘ, ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲡ ᲗᲣ ᲐᲡᲔ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔᲑᲗ, ᲙᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲕᲙᲘᲗᲮᲝᲗ ᲐᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ �რა ᲣᲜᲓᲐᲗ. ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔ�გ ᲰᲘᲑᲠᲘᲓᲣᲚ ᲓᲐ ᲓᲔᲖᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ ᲝᲛᲡ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ.

ᲚᲘᲙᲐ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲔᲠ ᲨᲔᲒᲐᲒᲜᲔᲑᲘᲜᲔᲗ ᲨᲔᲛᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ!

ᲡᲝᲤᲔᲚ **გუმათში რიონის ხეობის მცველს, მაკა სულაძესა და გურამ ფალავანდიშვილს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.**

მაკა სულაძის თქმით, ფალავანდიშვილის ჩარევა აქციის საორგანიზაციო საკითხებში საჭირო არ არის და ნამახვანჰესის საწინააღმდეგო აქციის მონაწილეებს მითითებებს ვერავინ მისცემს.

„მე მასწავლით ქრისტიანობას და ჯვარს როდის გადავდებ გვერდით და როდის დავიჭერთ ხელში? ვერ შეგაგნებინეთ შემწყნარებლობა. თუ ხართ ჩვენს ომში, კეთილი ინებეთ და დადექით ჯარისკაცად და ჩვენ თვითონ მივუთითებთ აქ ვის რა გავუკეთოთ, თქვენთვის არ დაგვივალება. არ მოგვეწონება? შემოვა ის თავისი ნიშნით, თავისი დროშით და თავის იდეოლოგიას თუ მოახვევს თავზე, საკმარისი ძალა გვყავს, რომ მივლენ ბიჭები... არ არის საჭირო თქვენი ჩარევა“, – მიმართა სულაძემ გურამ ფალავანდიშვილს.



ᲒᲣᲛᲐᲗᲘᲗᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲯᲔᲑᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ **საქმეთა სამინისტროს იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტმა, სოფელ გუმათში სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო.**

შსს-ს ინფორმაციით, დაზიანებულია პოლიციის მიერ გუმათჰესთან უსაფრთხოების მიზნით განთავსებული რკინის ჯებირები. ნამახვანჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეებმა გუშინ თბილისიდან რიონის ხეობაში გადაინაცვლეს და გუმათში განაგრძეს საპროტესტო აქცია. შეკრებილები მთელი ღამის განმავლობაში პოლიციის უსაფრთხოების ჯებირებს ქვებს და სხვადასხვა საგნებს ურტყამდნენ. სამინისტრო დეტალურად სწავლობს კანონდარღვევის ფაქტს და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, მოუწოდებს მოქალაქეებს, შეკრების და გამოხატვის თავისუფლების დროს დაიცვან კანონის მოთხოვნები და დაემორჩილონ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნებს.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲔᲜᲔᲠᲯᲘ“: ᲒᲐᲖᲡ 34 ᲗᲔᲗᲠᲐᲓ ᲕᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲗ ᲓᲐ 26 ᲗᲔᲗᲠᲐᲓ ᲕᲧᲘᲓᲘᲗ!

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲔᲜᲔᲠᲯᲘ“ გაზს 34 თეთრად ყიდულობს და 26 თეთრად ყიდის – გაზის სამომხმარებლო ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით კომპანია განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, რამდენიმე თვეა „თბილისი ენერჯი“ ითხოვდა და ახლაც ითხოვს მოსახლეობისთვის გაზის შესაძენი ფასის ეროვნულ ვალუტაში გადაყვანას, რაც ლარის კურსის ცვლილების შემთხვევაში მომავალში ტარიფის ცვლილებისგან დაიცავს როგორც მოსახლეობას, ისე კომპანიას.

გვინდა განვმარტოთ, რომ დღევანდელი მონაცემებით, ვალუტის კურსის გამო, კომპანია გაზს 34 თეთრად ყიდულობს. სემეკის 2019 წლის დადგენილებით კი ყიდის 26 თეთრად. ამ მიზეზით, ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში „თბილისი ენერჯიმ“ 25 მილიონი ლარი იზარალა. რის გამოც საფრთხის ქვეშ დადგა თბილისის გაზის ქსელის უსაფრთხოებაზე ზრუნვა. აღსანიშნავია, რომ გაზის გატარება/მომსახურების ტარიფი არ იცვლება და ისევ 10 თეთრია, სადაც კომპანიის ყველა ხარჯია გათვალისწინებული და 2023 წლამდე მოქმედებს.

ღირსეული ენერგეტიკოსი კვლავ ქვეყნის სამსახურშია



29 მაისს 70 წელი უსრულდება საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, საქართველოს ენერგეტიკოსთა აკადემიის აკადემიკოსს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს მერაბ დავითაიას.

მერაბ დავითაია დაიბადა გულრიფშის რაიონის სოფელ გულრიფშში. 1973 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო თბილისში საპროეტქო ინსტიტუტ „ჰიდროპროექტში“.

მერაბ დავითაიამ დიდი მონდომების შემდეგ შეძლო „ენგურჰესის“ ძალოვანი კვანძის სამშენებლო სამმართველოში გადმოსვლა და იმუშავა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უნიკალური ობიექტის აგებაზე – დაიწყო ცვლის უფროსად და გაიარა სამმართველოს საწარმო-ტექნიკური, საგეგმო და ტექნიკური განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობები. ეს იყო მშენებლობის აღორძინებისა და ხუთიევე აგრეგატის გაშვების წლები (1974-81 წწ.).

1982-83 წლებში მ. დავითაია მიწვეული იქნა საქართველოს კპ გულრიფშის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორად და შემდეგ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს უფროს რეფერენტად.

1983-96 წლებში მ. დავითაია ბრუნდება „ენგურჰესის“ მიწისქვეშა ნაგებობათა სამმართველოში მთავარ ინჟინრად, 1996-99 წლებში, სამმართველოს რეორგანიზაციის (გახდა „ჰიდროსპეცგვირაბმშენის“ სამმართველო) მერაბ დავითაია მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე გვევლინება.

1999-2004 წლებში ის ინიშნება სს „საქჰიდრომშენის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ. 2005-09 წლებში მერაბ დავითაია სს „საქჰიდროენერგომშენისა“ და „ჰიდროსაინჟინრო კომპანიის“ მთავარი ინჟინერია.

2009-11 წლებში მერაბ დავითაია აარსებს შპს „ვექტორს“ და როგორც მისი დირექტორი ღირებულობს უშუალო მონაწილეობას ქალაქ ზუგდიდში მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობაში. ტაძარი აშენდა 2009-2011 წლებში. ამჟამად მიმდინარეობს ამ ტაძრის მოპირკეთება და სამხატვრო სამუშაოები.

2011 წლიდან მერაბ დავითაია მუშაობს შპს „მტკვარიჰესის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ (ტექნიკურ დირექტორად).

თავის დროზე მას მიღებული აქვს მონაწილეობა „ენგურჰესის“ სარეაბილიტაციო პროექტების, „რიონჰესის“ სარეაბილიტაციო პროექტების, „რიონჰესისა“ და „აწჰესის“ სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებაში.

მერაბ დავითაიას და „ენგურჰესის“ მშენებლების კოლექტივს, თავის დროზე მიღებული აქვთ მონაწილეობა თბილისისა და მოსკოვის მეტროპოლიტენების მშენებლობაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სამუშაოები, რომლებსაც ასრულებდა „ენგურჰესის სამმართველოს“ ძალოვანი კვანძის კოლექტივი ქალაქ გაგრის შემოსასვლელი საავტომობილო გვირაბების მშენებლობისას. ამ ობიექტის გვირაბების გაყვანისას ჩამოდიოდნენ სამუშაოების დასათვალიერებლად უამრავი უცხოელი სპეციალისტები, მათ შორის იყვნენ თურქეთის რესპუბლიკის მშენებლები, რომელთაც ძალიან აინტერესებდათ სამუშაოების მიმდინარეობა და შესრულებული სამუშაოების ხარისხი.

გულდასაწყვეტია, რომ ამ ცოტა ხნის წინ ჩვენ მოვისმინეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის გამოსვლა, რომელმაც განაცხადა – „საქართველოში არ არის ჰიდრომშენებლები და ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ მოვიწვიოთ თურქი მშენებლები და ავაშენოთ ჰესები მათი მონაწილეობითო!“

ეს მცდარი და არასამართლიანი აზრია პატივცემულო ხელმძღვანელებო!

საქართველოს ჰყავს ჰიდრომშენებელთა არაჩვეულებრივი წარმომადგენლობა და მათ ძალუძთ ნებისმიერი სირთულის ობიექტის აგება! მიმართეთ ბატონ მერაბ დავითაიას და გაიგებთ რა შეუძლია ქართველ ჰიდრომშენებელს!

მერაბ დავითაია გახლავთ ორი გამოგონებისა და ასამდე რაციონალიზატორული წინადადების ავტორი. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი და ღირსების ორდენოსანი, ბატონ მერაბს ჰყავს მშვენიერი ოჯახი, მას და ქალბატონ თათას – ქალვაჟი და სამი შვილიშვილი.

ვუსურვებთ ამ ღირსეულ ადამიანსა და დიდ მშენებელს, დიდი ხნის სიცოცხლეს და კიდევ უამრავი ჰიდროენერგოობიექტების აშენებაში მონაწილეობის მიღებას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ენგურჰესის მშენებელთა კოლექტივის სახელით:

ნოდარ შარტავა, იური გუგუჩია, დემურ აბზიანიძე, ოთარ ჭითანავა, ანზორ ჭითანავა, კარლო შანავა, მურმან ჩაკაბერია, ნუგზარ ციმინტია, ჯონი ჭანია, როინ ფარცვანია, დიმა ხულორდავა, მამუკა გარდავა, იგორ შამუგია, დავით გაბედავა, გივი შამუგია.

ევროკავშირის წარმომადგენლობა ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების შესახებ კამპანიას იწყებს

ევროკავშირი, მისი EU$Business პროგრამით, საქართველოში კერძო სექტორის უმსხვილესი მხარდამჭერია, მხოლოდ 2019 წელს 36 000-ზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობით, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ავრცელებს.

საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოები (SMES) დასაქმების და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია. თუმცა, მათ ხშირად ექმნებათ დაბრკოლებები, როგორიცაა ფინანსებზე შეზღუდული წვდომა, მკაცრი კანონმდებლობა და ახალ ბაზრებზე გასვლასთან დაკავშირებული სირთულეები.



2009 წლიდან, ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას EU$Business პროგრამის მეშვეობით. ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს 50-მდე სხვადასხვა პროექტი, რომელთა საერთო ბიუჯეტი 320 მილიონ ევროს (დაახლოებით 1.2 მილიარდ ლარს) აღემატება. ევროკავშირი ამაყობს, რომ საქართველოში კერძო სექტორის განვითარების უმსხვილესი დონორი და მხარდამჭერია. ამ ძალისხმევას შედეგები უკვე მოაქვს – მხოლოდ 2019 წელს, საქართველოში 36 000-ზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა განხორციელდა, რის შედეგადაც 30 000 ახალი სამუშაო ადგილი და 400 მილიონ ევრომდე (1.5 მილიარ ლარზე მეტი) დამატებითი შემოსავალი შეიქმნა.

თუშეთის ეროვნულ პარკი ვიზიტორებისთვის ღიაა

თუშეთში ტურისტული სეზონი გაიხსნა და თუშეთის ეროვნული პარკი პირველ ვიზიტორებს ელის. ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი ომალოში მდებარეობს, სადაც სასურველი ტურის დაგეგმვა, განთავსება და ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი ყველა არსებული მომსახურების შესახებ.

თუშეთის ეროვნული პარკის 11 ტურისტული საფეხმავლო და საცხენოსნო მარშრუტები საშუალებას აძლევს ვიზიტორს თითქმის სრულად მოინახულოს და დატკბეს უნიკალური ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტებით. თუშეთში, დიდთოვლობის გამო, ტურისტული სეზონი მხოლოდ რამოდენიმე თვე გრძელდება, მაისის ბოლოდან – ოქტომბრის ჩათვლით. ეროვნულ პარკში მოგზაურობა შესაძლებელია ყველა იმ რეგულაციის გათვალისწინებით, რომელიც საქართველოს მთავრობისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის შემუშავებული.

ტაშისკარის სარწყავი სისტემა განახლდა!

შპს „საქართველოს მელიორაცია“ 2021 წლის სარწყავ სეზონს მომზადებული ხვდება. შიდა ქართლის მოსახლეობას რეაბილიტირებული ტაშისკარის სარწყავი სისტემა მოემსახურება. აღდგენილ სისტემაში წყალი გაეშვა.

საქართველოს მელიორაციამ ხაშურის მუნიციპალიტეტში ტაშისკარის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია განახორციელა.

პროექტის ფარგლებში არხის მნიშვნელოვანი ნაწილი რკინაბეტონით მოპირკეთდა, დანალექი გრუნტისგან გაიწმინდა სოფელ ქვიშხეთში, ტეზერსა და ბეკამში არსებული წყლის გამტარი მილები, მოეწყო სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობები, არსებულ ხიდებს ჩაუტარდა რემონტი, შეიცვალა დაზიანებული ფარები. ჩატარებული სამუშაოები ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტების რამდენიმე ათას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესებს სარწყავი წყლის მიწოდებას. პროექტის ღირებულებაა 800 ათასი ლარი.

საქართველოსა და საბერძნეთის შორის რეგულარული ავიამიმოსვლა 3 ივნისიდან დაიწყება

ავიარეისებს „ათენი-თბილისი-ათენი“ ბერძნული ავიაკომპანია Aegean Airlines-ი შეასრულებს. სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისად, თავდაპირველად კვირაში 1 რეისი შესრულდება, ზაფხულში კი ფრენების რაოდენობა ეტაპობრივად გაიზრდება.

„ათენი-თბილისი-ათენის მიმართულებით რეგულარული რეისები შემდეგი განრიგით შესრულდება: 3 ივნისიდან 29 ოქტომბრამდე, რეგულარული რეისები განხორციელდება ყოველ პარასკევს, 4 ივლისიდან სეზონის ბოლომდე (29 ოქტომბერი), დაემატება კიდევ ერთი სიხშირე და ფრენები შესრულდება ყოველ პარასკევს და კვირას, ხოლო 21 ივლისიდან, ავიაკომპანია დაამატებს მესამე სიხშირეს

და სეზონის დარჩენილ პერიოდში ფრენები განხორციელდება ყოველ ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას“, – ნათქვამია სააგენტოს განცხადებაში. ავიაკომპანია Aegean Airlines-ს საჰაერო მიმოსვლის განხორციელებისათვის აუცილებელი ნებართვა მიმდინარე წლის 25 მაისს მიენიჭა. ეგეოსის ავიახაზები საქართველოს საავიაციო ბაზარზე 2012 წლიდან ოპერირებს.

გრიგოლეთში ხანძრის დროს ორი კოტეჯი დაიწვა

გრიგოლეთში ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილობრივების ინფორმაციით, 2 კოტეჯი სრულად დაიწვა, მესამიდან კი ნივთების ნაწილის გადარჩენა მოხერხდა.

როგორც Imedinews-ს საგანგებო სიტუაციების სამსახურში განუცხადეს, ადგილზე მობილიზებულია 5 სახანძრო ეკიპაჟი და სალოკალიზაციო სამუშაოები მიმდინარეობს. მათივე ცნობით, შეტყობინებაზე რეაგირება ოპერატიულად მოხდა. ხანძრის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

◎ რჩეული

ვიამაყოთ!

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ტენერიფეს“ ლიდერი გიორგი შერმადინი გულშემატკივართა, ჟურნალისტთა, მწვრთნელთა და მოთამაშეთა გამოკითხვის შედეგად ლიგა ენდესას საუკეთესო კალათბურთელად (MVP) დაასახელეს.

იგი ესპანეთის ჩემპიონატის 38 მატჩში საშუალოდ 23 წუთს ატარებდა პარკეტზე და 17 ქულას აგროვებდა, ხოლო შედეგად შეხვედრის, ტურისა თუ თვის რჩეული უამრავჯერ გახდა, ამიტომ აღნიშნული აღიარება სავსებით დაიმსახურა.

ვულოცავთ!

◎ გზა დაელოცოს!

ყველასთვის სანატრელი

სად არ წააწყდებით ქართველ ლეგიონერებს, მაგრამ პორტუგალიური ფეხბურთის გრანდ „პორტუში“ თბილისის „დინამოს“ აკადემიაში აღზრდილი 18 წლის ტალანტის გიორგი აბუაშვილის 5-წლიანი კონტრაქტით ჩარიცხვა მაინც სხვაა და სცილდება ჩვეულებრივი ტრანსფერის ჩარჩოებს.

მართალია, იგი პირველ ეტაპზე 47-ნომრიანი მაისურით სახელოვანი კლუბის მეორე გუნდში ითამაშებს, მაგრამ, დარწმუნებულნი ვართ, მალე-ვე დაწინაურდება ძირითად შემადგენლობაში და ჩვენს ეროვნულ ნაკრებსაც გამოადგება.

◎ SOS!

ქარს გაჭანებული მილიონები

მრავალწლიანი ლოდინის შემდეგ ზუგდიდელებს ეგონათ, რომ საერთაშორისო სტანდარტების სტადიონი ექნებოდათ, თუმცა ამ დრომდე ობიექტი ვერც სპორტსმენებს იღებს და მაყურებლისთვისაც დახურულია. არადა, 3 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ყოფილმა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა მის მშენებლობას საფუძველი კაფსულის ჩადებით ჩაუყარა.

სტადიონის მშენებლობისთვის სულ 20 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. პროექტის პირველი ეტაპი დასრულებულია, რაშიც 10 მლნ ლარი დაიხარჯა, ტრიბუნებს კი სახურავი ამ დრომდე არ აქვს, რის გამოც შიდა პერიმეტრზე წყალი ჟონავს, ხოლო რამდენიმე თვის წინ ტერიტორიაზე ჭერი ჩამოინგრა. სპორტულ კომპლექსში განადგურებულია ბალახი, რომელიც თავდაპირველად ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებდა. დარღვევები ამით არ სრულდება, რადგან მშენებლებმა სტადიონს ბეტონის სარტყელი შემოარტყეს. აღსანიშნავია, რომ კონსტრუქცია ფეხბურთელთა სიცოცხლისთვისაც საშიშია, მაყურებლისთვის კი ჯებირები ერთგვარი ბარიერი იქნება, რომელიც მატჩის ყურებაში შეუშლის ხელს.

პროექტის პირველი ეტაპის დასრულებიდან უკვე წელიწადნახევარი გავიდა, მაგრამ მეორე ეტაპის განხორციელება ამ დრომდე არ დაწყებულა.

ზუგდიდის მერიაში აცხადებენ, რომ პრობლემები, რომლებიც ტერიტორიაზეა შექმნილი, მეორე ეტაპის სამუშაოების დაწყებისთანავე აღმოიფხვრება, თუმცა, ამ დრომდე უცნობია, როდის დაიწყება ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის მეორე ეტაპის მშენებლობა. ქალაქის მერიაში ჯერჯერობით არც ის იციან, რა თანხა იქნება საჭირო სპორტული ობიექტის დასასრულებლად. ეყოფათ თუ არა მათ დარჩენილი 10 მლნ ლარი, ამას ზუგდიდის მერია ალბათ მშენებლობის პროცესში გაიგებს.

„პროექტის პირველი ნაწილი უკვე განხორციელდა და ახლა მეორე ეტაპის პროექტირება გადის ექსპერტიზას. ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ ტენდერი უშუალოდ სამუშაოებზე გამოცხადდება. შემდეგ მოხდება განსაზღვრა, თუ რა თანხა დასჭირდება მეორე ეტაპის სამუშაოებს. ამის მიხედვით გამოიყოფა თანხები ან რეგიონული ფონდიდან, ან მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, ან სხვა შესაბამისი სტრუქტურიდან“, — გვითხრეს მერიაში და „კომერსანტთან“ საუბარში დასძინეს, რომ როდესაც მშენებლობის მეორე ეტაპი დასრულდება, სტადიონი სრულად იქნება გამართული. ჩვენს კითხვაზე, ვინ გამოასწორებს დაშვებულ ხარვეზებს, გვიპასუხეს, რომ როდესაც მეორე ეტაპი დაიწყება, პრობლემებს სამშენებლო კომპანია „დაგი“ გამოასწორებს.

„თუ გაჩნდება კითხვები, რამდენად ხარისხიანად შესრულდა პროექტი, შესაბამისი უწყებები გასცემენ პასუხს. ჩვენი პრიორიტეტია ხარისხი, რაზეც ძალიან დიდ ყურადღებას ვამახვილებთ. რამდენად ხარისხიანად და კეთილსინდისიერად შესრულდა სამუშაოები, ეს უკვე „დაგის“ პასუხისმგებლობაა. ჩვენ გვაქვს საგარანტიო ვადა და მათ ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში ამის გამოსწორება მოუწევთ“, — აცხადებენ მერიაში.

განსხვავებული პასუხი გაგვცეს სამშენებლო კომპანია „დაგიში“. მათი თქმით, ხარვეზები უკვე გამოსწორებულია. მათი განცხადებით, ჭერის ჩამონგრევა დასავლეთში არსებულმა ნესტმა გამოიწვია. „დაგიში“ ასევე განმარტავენ, რომ სამუშაოები სამშენებლო კომპანიამ ხარისხიანად შეასრულა, რასაც ადასტურებს ის, რომ კონსტრუქცია არ დაზიანებულა. რაც შეეხება სანახევროდ შესრულებულ სამუშაოებს, კომპანია იმ გარემოებით ხსნის, რომ სატენდერო პროექტში ობიექტის გადახურვა მითითებული არ ყოფილა.

ბაჩო ადამია

◎ რაგბი



ორი კვირაც მოვითმინოთ...

უკვე გაუწყეთ, რომ 20-წლამდელთა პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირს ზაფხულში სამხრეთ აფრიკა უმასპინძლებს და იქ სათამაშოდ არგენტინის, ურუგვაისა და „შავი კონტინენტის“ კიდევ ერთ წარმომადგენელ ნაკრებთან ერთად ახალგაზრდა „ბორჯღალოსნებიც“ არიან მიწვეულნი.

როგორც დაზუსტდა, აღნიშნული გამოცდის ჩაბარება მის მონაწილეებს 11 ივნისიდან 7 ივლისამდე მოუწევთ. სხვათა შორის, სწორედ 11 ივნისს იწყება ფეხბურთელთა ევროფორუმი და კოპა ამერიკაც, ასე რომ, ორიოდე კვირაც და გულშემატკივართა დიდი არმია უმნიშვნელოვანეს სპორტულ მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდება.

დავძენთ, რომ მომავალი მძაფრი სარაგბო ბატალიების წინ ჩვენი 20-წლამდელები „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე ასეთი გაფართოებული შემადგენლობით ემზადებიან:

შერკინება: ჯიმშელეიშვილი, აბრამიშვილი, მამაიაშვილი, გველესიანი, დიასამიძე, მაისურაძე, ხუჭუა, ირაკლი აფციაური, ქუნთელია, კევლიშვილი, ბადრი და ლაშა ციხისთავები, ფხაკაძე, ღინაშვილი, სულეიმანაშვილი, არველაძე, ბურდული, ქურხული ტერენტიევი, ზაზაძე, სუთიძე, გელხვიძე, ჯალაღონია, გალდავა.

უკანა ხაზი: იაშვილი, ხუროშვილი, ლუკა და საბა არჩვაძეები, კურტანიძე, ხუციშვილი, იმნაძე, ბაიაშვილი, მიქაძე, ჩიქოვანი, სკამკოჩაშვილი, დიტო და რატი ბერაიები, კახოიძე, ლიპარტელიანი, ცხოვრებაძე, შალვა აფციაური, არაგველი, კვენეტაძე, ქევხიშვილი, ნავროზაშვილი, რიკაძე.

აღსანიშნავია, რომ გუნდის წევრობის 46 კანდიდატიდან 30(!) ჩვენი ნაკრების საბაზო კლუბ „ლელოს“ წარმოადგენს და ლეგიონერი საერთოდ არ გვყავს.

18 ივნისი. საქართველო-არგენტინა.

23 ივნისი. საქართველო-ურუგვაი.

28 ივნისი. საქართველო-სამხრეთ აფრიკა.

◎ ფორმულა-1

ვინ იფიქრებდა?!

ძრავების სამეფოში დიდი გაუგებრობაა: მონაკოს გრან-პრის შემდეგ ლიდერობა დაკარგეს როგორც ფორმულა-1-ის შვიდგზის ჩემპიონმა ლუის ჰემილტონმა, ისე მისმა „მერსედესმა“, თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა და სტატუს-კვო მალევე აღდგება. მართლაც, ჩავარდნა ვის არ ჰქონია?

რაც შეეხება მონტე კარლოს ტრასაზე განვითარებულ მოვლენებს, იქ პირველად აჯობა ყველას ნიდერლანდელმა **მაქს ფერსტაფენმა,** ვისთვისაც ეს სეზონში მეორე, ხოლო კარიერაში მე-12 მოგებული ეტაპია.

გარდა უშუალოდ რბოლისა, გასული კვირა თურქეთისთვის ჩამორთმეული მასპინძლობის უფლებითაც იყო აღსანიშნავი, რომელიც ისრაელის მიმართ „ჰამასის“ აგრესიის ღიად გამოხატული მხარდაჭერისთვის დაისაჯა.

არანაკლებ საინტერესოა ბრიტანელი ლეგენდის უკმაყოფილება წლევანდელ მარათონში შექმნილი სოციალური ვითარების გამო. კერძოდ, ჰემილტონს არ მოსწონს მთავარ საავტომობილო სერიაში მდიდარი და გავლენიანი მამიკოების შვილთა მონაწილეობა, მაგალითად კი მილიარდერთა ვაჟები მოჰყავს: ნიკიტა მაზეპინი, ლენს სტროლი და ნიკოლას ლატიფი.

საერთო ჩათვლა: მაქს ფერსტაფენი — 105 ქულა, ლუის ჰემილტონი — 101, ლანდო ნორისი — 56, ვალტერი ბოტასი — 47, სერხიო პერესი — 44, შარლ ლეკლერი — 40, კარლოს საინსი — 38, დანიელ რიკარდო — 24, პიერ გასლი — 16, ესტებან ოკონი — 12, სებასტიან ფეტელი — 10, ლენს სტროლი — 9, ფერნანდო ალონსო — 5, იუკი ცუნოდა — 2, ანტონიო ჯოვინაცი — 1 ქულა.

კონსტრუქტორთა თასი:

რედ ბული — 149 ქულა, მერსედესი — 148, მაკლარენი — 80, ფერარი — 78, ასტონ მარტინი — 19, ალფა ტაური — 18, ალპინი — 17, ალფა რომეო — 1 ქულა.

აზერბაიჯანის გრან-პრი ბაქოში 7 ივნისს გათამაშდება.

მოკლედ

ევროპა ლიგის გამარჯვებული „ვილიარეალი“ გახდა, რომელმაც ფინალში „მანჩესტერს“ პენალტების სერიაში 11:10 მოუგო (ძირითადი დრო — 1:1).

* * *

ნიკა ამაშუკელი 20-წლამდელ მორაგბეთა ექვს ერზე ორ თამაშს იმსაჯებს: 19 ივნისი. უელსი-იტალია. 25 ივნისი. ინგლისი-შოტლანდია.

* * *

თბილისის „დინამოს“ მწვრთნელად გიორგი ნემსაძის ნაცვლად კახი ცხადაძე დაინიშნა.

* * *

თბილისის „დინამომ“ 95:85 სძლია „კაქტუსს“ და სუპერლიგის „ბრინჯაო“ მოიპოვა კალათბურთში, ხოლო „რუსთავმა“ ფინალური სერიის მესამე მატჩიც მოუგო „ცხუმ-აფხაზეთს“ 94:88 და ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

პაპუნა მასხარაშვილი

ამ წერილის გამოქვეყნება გვსურდა აგვისტოს ბოლოს, მაგრამ დღევანდელ ეპიდვითარებასთან დაკავშირებით შეიქმნა სხვადასხვა შემაფერხებელი ვითარება და ამიტომ მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი მისი პუბლიკაცია

2020 წლის 15 აგვისტოს ჩვენს კოლეგასა და უერთგულეს მეგობარს — პაპუნა მასხარაშვილს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა.

1920 წლის 15 აგვისტოს ის დაიბადა თბილისში ათანასე მასხარაშვილისა და მარიამ გორგილაძის ოჯახში. პაპუნა მშობლების მესამე ვაჟი იყო ვახტანგის და გივის შემდეგ. სკოლა წარჩინებით დამთავრა — მაშინ ოქროს მედლის ნაცვლად (1937 წ.) იძლეოდნენ სამკერდე ნიშანს და ამ სამკერდე ნიშნის პატრონს უგამოცდოდ იღებდნენ უმაღლეს სასწავლებელში. ასე ჩაირიცხა პაპუნა მასხარაშვილი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე.

პაპუნა მასხარაშვილი ბუნებისგან მრავალმხრივ დაჯილდოვებული ადამიანი იყო. გარდა წარჩინებული სწავლისა, გატაცებული იყო ფეხბურთით და მაშინდელი თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობდა. გარდა ფეხბურთისა, ბრწყინვალედ თამაშობდა ბილიარდს და იყო საქართველოს პირველობის არაერთგზის ჩემპიონი. სასაცილოა ამის გახსენება, მაგრამ პაპუნას პატარა ბიჭობაში ძალიან გავრცელებული იყო კოჭობანას თამაში და იქაც მისი მომგები იშვიათად თუ ვინმე გამოჩნდებოდა.

1941 წელს პაპუნა მასხარაშვილმა, კურსელებთან ერთად, დაჩქარებული წესით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და გაეშურა მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე.

ფრონტზე პაპუნა შეხვდა ძალიან ლამაზ უკრაინელ გოგონას ნადეჟდა დერნოვაიას — ის მხოლოდ 17 წლის იყო, როდესაც დაამთავრა სამედიცინო ტექნიკუმი და გაიწვიეს დიდ სამამულო ომში.

დღევანდელი გადასახედიდან ძალიან ძნელია წარმოიდგინო, რომ ამ ასაკის გოგონამ როგორ გაართვა თავი ომის საშინელებნბას და უვნებელი გადარჩა.

იმ დროისთვის პაპუნა პოლკის საველე ჰოსპიტალში მსახურობდა და ნადეჟდა მისი საოპერაციო და გახდა, შემდგომ კი რაც ნამდვილად მოსალოდნელი იყო, ისინი 1943 წელს შეუღლდნენ და ომის ქარცეცხლში გამოვლილი თავიანთი სიყვარული ქალაქ დნეპროპეტროვსკში ოფიციალურად დაადასტურეს.

პაპუნამ ნადეჟდასთან ერთად მრავალ ჯარისკაცს შეუნარჩუნა სიცოცხლე, ისინი ფრონტის წინა ხაზზე გადაუდებელ დახმარებას უწევდნენ დაჭრილებს და სიკვდილს ებრძოდნენ.

1943 წელს პაპუნა თვითონაც მძიმედ იყო დაჭრილი ფილტვში და სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა გერმანული ნაღმის ნამსხვრევს სხეულში, როგორც საშინელი ომის მოგონებასა და გაფრთხილებას.

პაპუნა ჭეშმარიტი ექიმი იყო. ფრონტზე ის როგორც თერაპევტის, ისე ქირურგის ფუნქციას ითავსებდა. მსახურობდა 103-ე სამთო მსროლელთა ბრიგადაში სანიტარული ოცეულის უფროსად, შემდეგ კი 49-ე საზენიტო საარტილერიო ლეგიონის მთავარ ექიმად, დაჯილდოვებული იყო არაერთი ორდენით და მედლით, მათ შორის, წითელი ვარსკვლავით და ორდენით — მამაცობისთვის.

ალბათ, ცოტა ძნელია მოიძებნოს ისეთი სრულქმნილი ადამიანი, როგორიც იყო პაპუნა მასხარაშვილი, რომელმაც დიდი შრომა გასწრია სამშობლოსთვის, როგორც ექიმმა, პიროვნებამ და მოქალაქემ.

ფრონტის შემდეგ სტაჟირება გაიარა და მას უმაღლესი კატეგორიის ექიმის ეპიდემიოლოგ-მიკრობიოლოგის კვალიფიკაცია მიენიჭა.

1945 წლის ოქტომბერში თბილისში ჩამოყალიბდა №35-ე საშუალო სკოლა ფეხბურთის განხრით. პაპუნა, როგორც ყოფილი ფეხბურთელი და მოქმედი ექიმი, მიწვეული იყო ამ სკოლაში როგორც მწვრთნელი-ექიმი, ასე რომ ის დიდი საფეხბურთო ტრადიციების ჩამოყალიბების სათავეებთან იდგა. მისი მეგობრები იყვნენ ძმები პაიჭაძეები — ბორისი და ავთო, ზმები ჯეჯელავები — გაიოზი, ჯუანშერი და სპარტაკი, ძმები შუდრები — ვანო და სერგო, მიხეილ პირაევი, შოთა მერკვილაძე, მერაბ (ჩილიკა) გამყრელიძე, ძიუ ლომაია და კიდევ ბევრი სხვა ღირსეული ადამიანი, რომლებიც მას შესძინა ქართული ფეხბურთის სამყარომ.

1947 წელს ბატონმა პაპუნამ მუშაობა დაიწყო ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ექიმ-ეპიდემიოლოგად.

1948 წლის ბოლოს ლენინგრადში გაიარა ვირუსული გრიპის შესწავლის კურსები და 1949 წელს სათავეში ჩაუდგა საქართველოსა და ამიერკავკასიაში იმ დროისთვის პირველი ვირუსული კვლევის ლაბორატორიას. ორი წლის შემდეგ ლენინგრადიდან ჩამოვიდა ასპირანტურადამთავრებული პაპუნას მეგობარი და კოლეგა ვიტალი ყურაშვილი და მან წარმატებით გააგრძელა მოღვაწეობა პაპუნა მასხარაშვილის მიერ დაფუძნებული ვირუსული კვლევების ლაბორატორიაში.

ასევე პირველი იყო ბატონი პაპუნა განსაკუთრებულად საშიში ინფექციების (შავი ჭირი, ქოლერა, ტულარემია, ბრუცელოზი და ა.შ.) კვლევაში. საქართველოში მან პირველმა გამოყო, კვლევების შედეგად, შავი ჭირის გამომწვევი მიკრობის შტამი და ამით დადგინდა საქართველოს ტერიტორიაზე შავი ჭირის ბუნებრივი კერის არსებობა.

დიდია ბატონი პაპუნა მასხარაშვილის ღვაწლი ტულარემიის, ბრუცელოზის, ციმბირული წყლულისა და სხვა განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა ბუნებრივი კერების დადგენასა და შესწავლაში.

1961 წელს ბატონი პაპუნა მივლინებული იყო მონღოლეთში და იქ ერთი წლის განმავლობაში კლიმატურად აუტანელ პირობებში, მკვეთრად კონტინენტურ ჰავაში, მას შავი ჭირის ბუნებრივ კერებში უწევდა მუშაობა. ასევე, ცოტა მოგვიანებით, ის მივლინებული იყო თურქმენეთის რესპუბლიკაში და ისევე როგორც მონღოლეთში, არანაკლებ გაუსაძლის კლიმატურ პირობებში, უდაბნო ყარაყუმში თვეების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ეპიდსაწინააღმდეგო რაზმს და მუშაობდა ისევ და ისევ, შავი ჭირის ბუნებრივ კერებში. აქაც დიდი წარმატებით შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და დაიმსახურა თურქმენი კოლეგებისა და საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს მადლობა და უმაღლესი შეფასება.

პაპუნა მასხარაშვილს ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებზე მოპოვებული მასალის კომპლექსური კვლევის დანერგვაში, რაც აღწერილია სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში.

ბატონი პაპუნა იყო საქართველოს შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურის (დღეს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი) დამფუძნებლის და პირველი ხელმძღვანელის ბატონ ნიკოლოზ აბესაძის თანამოაზრე და გვერდში მდგომი. ის იყო ამ უწყების ლიდერის ღირსეული მოადგილე. თითქმის ორმოცი წელი იღვაწა ამ დაწესებულებაში, და ამ ორმოცი წლის განმავლობაში შეიცვალა უწყების ოთხი ხელმძღვანელი და ბატონი პაპუნა მუდამ პირველი მოადგილე იყო. ეს შემთხვევითობა არ არის და რაზე მეტყველებს თვითონ განსაჯეთ, სამი წლის მანძილზე ის იყო შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და მიუხედავად საკავშირო სათავო ადმინისტრაციის დაჟინებული თხოვნისა, ის დარჩა უფროსის სავარძელში. მას ნაკლებად ხიბლავდა „დირექტორობა“. ის მშვიდად, აუჩქარებლად და მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებდა იმ საქმეს, რომელიც იცოდა და უყვარდა, ბატონი პაპუნა იყო საქართველოს დამსახურებული ექიმი, გამოქვეყნებული აქვს ასამდე სამეცნიერო ნაშრომი, მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და სიგელი.

1970 წელს ის იდგა აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის გვერდით (იყო სარეჟიმო-საკარანტინო სამსახური უფროსი) და ებრძოდა იმდროინდელ ქოლერის ეპიდემიას.

დღევანდელ დღეს მისი გამოცდილება, როგორც ექიმ ეპიდემიოლოგისა და განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან მებრძოლი სპეციალისტისა, ერთობ წაადგებოდა კოვიდპანდემიით გათანგულ ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს...

პაპუნა რამიშვილი უზომოდ სტუმართმოყვარე კაცი იყო, უყვარდა ქართული ტრადიციული სუფრა და ყველაფერი კარგი, რაც ქართულ სუფრასთან არის დაკავშირებული. მან ყანწების უნიკალური კოლექცია შეაგროვა — 120 წყვილზე მეტი. ჰქონდა სილამაზის აღქმის საოცარი უნარი და საკუთარი ხელით ამუშავებდა სხვადასხვა მცენარეების ფესვებს, ტოტებს, კუნძებს და საბოლოოდ ღებულობდა ძალიან ლამაზ, მრავალფეროვან ფიგურებს.

პაპუნა მასხარაშვილი მოსვენებული და უსაქმოდ არავის უნახავს არც სახლში, არც სამსახურში და არც ძალიან დიდ სამეგობრო წრეში. მის გვერდით მუდამ იყვნენ მისი ახალგაზრდა კოლეგები და მეგობრები: ვახტანგ ყიფიანი, თემო პეტრიაშვილი, ბორის კორსანტია, სულიკო კუპრაძე, ირაკლი შალუტაშვილი, სპარტაკ რამიშვილი და სხვები, მისი თაობის მეგობრები თეიმურაზ ნათაძე, ირაკლი გიორგაძე, ვლადიმერ ნერსეროვი, გოგი ლობჟანიძე, დათიკო ურუშაძე, ოთარ აბაშიძე და სხვ.

ჩვენ და ბატონი პაპუნას ოჯახის წევრებს გვეამაყება, რომ ვიცნობდით, ვმეგობრობდით, ვმუშაობდით პაპუნა მასხარაშვილთან ერთად. ის იყო ადამიანი, რომელმაც თავის ცხოვრების გზაზე დატოვა სიკეთის, სილამაზის და სიყვარულის დიდი, ლამაზი კვალი...

* * *

...სანამ ეს წერილი გამოქვეყნდებოდა, ბატონი პაპუნას გახსენების ერთ-ერთი ავტორი და სულისჩამდგმელი იყო საქართველოს საამაყო შვილი, ვირუსოლოგი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი, ბორის კორსანტია, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ემსხვერპლა კორონავირუსს.

ასევე დიდი მწუხარებით გვინდა გავიხსენოთ ბატონი ვლადიმერ ნერსესოვი — საქართველოს დამსახურებული ექიმი, ეპიდემიოლოგი, ადამიანი, რომელმაც გადაიტანა შავი ჭირის საშინელება და ვერ გაექცა კორონავირუსს.

ჩვენ, პაპუნას მეგობრები და ოჯახის წევრები, დიდი გულისტკივილით ვიზიარებთ ბორის კორსანტიას და ვლადიმერ ნერსესოვის გარდაცვალებას.

პატივისცემით პაპუნა მასხარაშვილის მეგობრები და ოჯახის წევრები

სულიკო კუპრაძე, ირაკლი შალუტაშვილი, სპარტაკ რამიშვილი, ლილი და **მერაბ მასხარაშვილები** ოჯახებით.

მარინა ჯანაშია გარდაიცვალა

ნიჭი, ბრწყინვალე ნიჭი...

წავიდა ამ ქვეყნიდან დიდებული ქალბატონი, ღირსეული პიროვნება, შესანიშნავი მსახიობი და ერთგული მეგობარი მარინა ჯანაშია.

ნიჭი, ბრწყინვალე ნიჭი, აი, რა გახლდათ ქალბატონი მარინას წარმატების საწინდარი, ამიტომაც ასე უანგაროდ, მთელი გულით შეიყვარა იგი ქართველმა მაყურებელმა, შეიყვარა მის მიერ სცენასა თუ ეკრანზე განსახიერებული გმირები.

დიდი გულისტკივილით გემშვიდობებით მარინა, გემშვიდობებათ თქვენი რუსთაველის თეატრი. თქვენ გამორჩეული კვალი დატოვეთ არა მხოლოდ ჩვენი თეატრის, არამედ ქართული თეატრის ისტორიაში.

რუსთაველის თეატრი

* * *

მარინა ჯანაშია 1971 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი. იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი 1968-1981 წლებში, 1981-1987 წლებში კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის, ხოლო 1988 წლიდან კვლავ რუსთაველის თეატრის მსახიობი.

აღსანიშნავი როლებია: პაჟი („ანტიგონე“), მარტირიო („ბერნარდა ალბას სახლი“), ჯულიეტა („რომეო და ჯულიეტა“), „გუშინდელნი“, ქეთო („ქალის ტვირთი“), მარინე („აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“), დორისი („წელიწადში მხოლოდ ერთხელ“),ბაბული („ნახვის დღე“), „მოხუცი ჯამბაზები“.

ნათამაშები აქვს რამდენიმე ფილმში, მათ შორის — „კუკარაჩა“ (ანიკო), „მარადისობის კანონი“ (მარიამი), „სიბრძნე სიცრუისა“ (მელა), „გრძელი ნათელი დღეები“ (მასწავლებელი).

მან თეატრი შეაყვარა მაყურებელს...

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მსახიობ მარინა ჯანაშიას გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს. ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

„მწუხარება მინდა გამოვთქვა თეატრისა და კინოს მსახიობის მარინა ჯანაშიას გარდაცვალების გამო. მინდა, სამძიმარი ვუთხრა მის ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს.

მარინა ჯანაშიას შექმნილმა არაერთმა დასამახსოვრებელმა სახემ თეატრი შეაყვარა ახალი თაობის მაყურებელს, კინოფირებმა შემოგვინახა მისი გამორჩეული სამსახიობო ოსტატობა.

ვუსამძიმრებ ქართული კულტურის მოღვაწეებს მარინა ჯანაშიას — ამ ნიჭიერი მსახიობის გარდაცვალებას, მისი სახით თეატრალურმა საზოგადოებამ კიდევ ერთი დიდი დანაკლისი განიცადა“, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის სამძიმარში.

ქუთაისის უძველესი ისტორია მეცნიერულად დადასტურდა!

საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტებმა, სალომე ზურაბიშვილმა და ანჟეი დუდამ დღეს ორბელიანების სასახლეში კრუკოვსკის სახელობის ქართულ-პოლონური ინტერდისციპლინური კვლევითი ცენტრის მიერ ქუთაისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი არტეფაქტების გამოფენა დაათვალიერეს.

როგორც საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ნფორმაციაშია აღნიშნული, ქართულ-პოლონურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ქუთაისში აიეტის პერიოდის კოლხეთის დედაქალაქი აღმოაჩინა, რომელიც ძვ. წ. 14-11 საუკუნეებით თარიღდება.

კვლევა საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით მიმდინარეობს და როგორც კულტურის საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი კოტე ნაცვლიშვილი აცხადებს, დღეს უკვე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალაქი არგონავტიკის პერიოდს განეკუთვნება. მისივე თქმით, ეს ქუთაისის უძველესი ისტორიის პირველი მეცნიერული დადასტურებაა, ასევე, დასტურდება ანტიკური პერიოდის ისტორიკოსებისა და მოგზაურების ვარაუდი, რომ ქუთაისი ძველი კოლხეთის დედაქალაქი იყო.

„ეს პირველი დასტურია იმისა, რომ არგონავტიკის მითოლოგიას შეიძლება, ისტორიული საფუძველი გააჩნდეს, როგორც ეს ტროას შემთხვევაში მოხდა. როგორც ჩანს, აიეტის, მედეას, ოქროს საწმისისა და ოქრომრავალი კოლხეთის მითის მიღმა ისტორიული სინამდვილე იმალება, რომელსაც ინტენსიური სამეცნიერო კვლევები სჭირდება. საქართველო ემზადება, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინოს ეს სენსაციური აღმოჩენა და შემდგომ კვლევებში ჩართოს მსოფლიოს წამყვანი არქეოლოგიური-სამეცნიერო კვლევითი ცენტრები“, — განაცხადა კოტე ნაცვლიშვილმა.

ქუთაისში კრუკოვსკის სახელობის ქართულ-პოლონური ინტერდისციპლინური კვლევითი ცენტრი 2018 წლიდან მოქმედებს.

„ქართუ“ ჯგუფის დახმარებით, ვარძია განადგურებას გადაურჩა

მუცოს შემდეგ, ევროპა ნოსტრას პრიზის ვარძიისთვის მინიჭება კიდევ ერთი გამარჯვებაა, — ასე გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე სოზარ სუბარი ვარძიის კონსერვაციის პროგრამისთვის ევროპა ნოსტრას პრიზის გადაცემას.

„ქართუ“ ჯგუფის დახმარებით, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი, XII-XIII საუკუნეების ქართული მხატვრული კულტურის ძეგლი ვარძია განადგურებას გადაურჩა. შემოქმედებითი ევროპის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ჯილდო — ევროპა ნოსტრას პრიზი, ციხე-სოფელი მუცოს რეაბილიტაციის პროგრამის საერთაშორისო აღიარების შემდგომ, ამჯერად უკვე ვარძიის კომპლექსის კონსერვაციის პროგრამას ერგო. ევროკომისიისა და ორგანიზაცია ევროპა ნოსტრას კონკურსში საქართველოდან წარდგენილი სანომინაციო განაცხადი გახდა კონსერვაციის კატეგორიის ერთ-ერთი გამარჯვებული სხვა 8 ნომინანტთან ერთად, რომლებიც სამაგალითო მიღწევებად დასახელდა. უმნიშვნელოვანეს პარტნიორებთან — ფონდ „ქართუსთან“ და იტალიის გეოლოგიური კვლევის ინსტიტუტთან ერთად, ჩვენმა მთავრობამ დროის მოკლე ინტერვალში უზრუნველყო კლდეში ნაკვეთი კომპლექსის სტრუქტურული მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება“, — აღნიშნავს სოზარ სუბარი.

გმადლობთ, პრეზიდენტო!



საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი გამოხატავს დიდ მადლიერებას საქართველოს პრეზიდენტის, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის მიმართ, რომელმაც დააკმაყოფილა ჟურნალისტთა კავშირის თხოვნა პატიმრობაში მყოფი კოლეგის, ამირან ბუთურიშვილის შეწყალების თაობაზე... ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარეების მიერ ხელმოწერილ თხოვნა-მიმართვაში ასობით ჟურნალისტის გულწრფელი მოწადინება და გულისთქმა იყო გაერთიანებული... კავშირი მადლობას უხდის კოლეგებს უდიდესი პრობლემის წინაშე აღმოჩენილი ჟურნალისტის გამხნევებისა და მხარდაჭერისთვის... კავშირი მადლიერებას გამოხატავს ადვოკატ გელა ჩივაძის მიმართ, რომლის როლიც განსაკუთრებულია ამ საქმის სასურველი შედეგით დასრულებაში... ასევე წარმატებებს და მხნეობას უსურვებს უკვე თავისუფლებაში მყოფ კოლეგას და იმედოვნებს, რომ იგი მოიკრებს ძალებს და გააგრძელებს საქმიანობას ჩვეული ერთგულებითა და ენერგიით...

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი

ფიქრები ტუსაღ ჟურნალისტზე

ჩვენისთანა ბედნიერი განა არი სადმე ერი?
ილია ჭავჭავაძე

საქმე არის აუხსნელი,
სხვისთვის ნაკლებ დასაჯერი,
ციხის კარი გავუხსენით,
ვინც მართლაა დასასჯელი,
ვინც აწყობდა ფერად ბუნტს და
შეარყია ქვეყნის ჭერი...

მაშ, ამირანს რას ერჩიან
რომ კვლავ უდგას უდარობა?
მასაც უნდა აერჩია
ზოგ-ზოგივით ბუნტარობა?

ბუთურიშვილს ეგებ მაშინ
შეხვდროდა ბევრის ტაში
თბილისშიც და ევროპაშიც,
თუ მის ვალებს...
(ალბათ, მიხვდით),
ევროსაბჭო გადაიხდის!

ალექსანდრე შენგელია

ნაპოვნია 37 საუკუნის არტეფაქტი

არქეოლოგებმა გერმანიაში, ტუბინგენის რეგიონში, გვიანი ნეოლითის ხანის საფლავში, უძველესი ოქროს სპირალისებური რგოლი იპოვეს. **საფლავი ქალს ეკუთვნოდა, რომელიც ჩვილის პოზაში იყო დაკრძალული, ხოლო აღნიშნული არტეფაქტი თმის სამაგრის ფუნქციას ასრულებდა.**

დადგინდა, რომ ქალი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1800-დან 1750 წლების პერიოდშია დაკრძალული. ოქროს ნივთი დაახლოებით 20% ვერცხლს შეიცავს, ასევე მასში გამოვლინდა მცირე ოდენობით (2%-ზე ნაკლები შემცველობით) სპილენძი, პლატინა და კალა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 31 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2993; ევრო - 4.0420;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.6735;
100 რუბლი - 4.4922; თურქული ლირა - 0.3922;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9379;
1000 სომხური დრამი - 6.3387.

ამინდი 28 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+16,	დღე	+30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge